რეკომენდაციის წერილი

რეკომენდაციას ვუწევ ნატალია ჩუბინიძეს, ვინაიდან მიმაჩნია, რომ მისი მრავალწლიანი გამოცდილება და საქმისადმი ერთგულება დადებით გავლენას მოახდენს იმ სფეროს წარმატებულ ფუნქციონირებაზე სადაც იგი სამომავლოდ განაგრძობს საქმიანობას.

მქონდა რა საქმიანი კომუნიკაცია წლების განმავლობაში მსურს აღვნიშნო, რომ იგი ყოველთვის იყო დეტალებზე ორიენტირებული და პროფესიული მოვალეობების შესრულებისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ამათუიმ აქტუალური საკითხის ეფექტიან კომუნიკაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საქმიან პარტნიორებთან და კოლეგებთან.

ნატალია ჩუბინიძე წლების განმავლობაში იყო ჩართული საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და გამტკიცების პროცესში, აქვს არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება, რაც დამატებით, დადებით გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე. იგი მონაწილეობას იღებდა საქართველოში ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მას აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება, მიუღია მონაწილეობა არაერთი მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციასა და შეხვედრაში, სადაც ახდენდა საქართველოში მიგრაციის მართვის კუთხით და ზოგადად სახელმწიფო სერვისების მიწოდების სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ პარტნიორების ინფორმირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვუწევ მას რეკომენდაციას სამომავლო დასაქმების ადგილზე წარდგენისთვის.

თორნიკე ნოზაძე

საქმეთა რწმუნებული

საქართველოს საელჩო ფინეთის რესპუბლიკაში